

ები: გერმანელები საქართველოში“. რომანი 2017 წელს გამოიცა. მწერალმა ზეპირი ისტორიების მეთოდის გამოყენებით რეპორტაჟული რომანი შესძინა თანამედროვე ქართულ მწერლობას. ტექსტის გამორჩეულობას ერთად ქმნის ჟანრობრივ-მეთოდოლოგიური, მხატვრული და ისტორიული თავისებურებები. რომანში ჩვენთან მიგრირებული გერმანული თემის შთამომავალთა ხმებსა და მათ ექოებს ვისმენთ. ისინი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრების პატარა ადამიანურ ბედნიერებებსა და ტოტალურ ტრაგედიებზე ლაპარაკობენ. ეს საბჭოთა კავშირის მიერ დაცენზურებული ხმებია.

ზეპირი ისტორიების მეთოდი, როგორც თანამედროვე მეთოდოლოგია, სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობს. იგი XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დასავლეთის აკადემიურ წრეებში გახდა პუპულარული (ტურაშვილი, 2012, გვ. 233). ზეპირი ისტორიის საზოგადოების დამაარსებლისა და ამ მეთოდოლოგიის ერთ-ერთი პირველი მკვლევრის პოლ ტომპსონის თქმით, ტერმინი „ზეპირი ისტორია“ ახალია, როგორც მაგნიტოფონი, და დიდი გავლენა აქვს მომავალზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას არ აქვს წარსული. ზეპირი ისტორია ისეთივე ძველია, როგორც ისტორია. ის იყო ისტორიის პირველი ფორმა (Thompson, 1978, p. 19).

მწერლობაში ამ მეთოდის მთავარი დანიშნულება მკითხველამდე ამბებთან ერთად მთხრობელთა ემოციების მიტანაა. წიგნის შესავალში თამთა მელაშვილი არჩეული მეთოდის სწორედ ამ თავისებურებაზე საუბრობს: „ჩემი მიზანიც ეს იყო – მიხდოდა მკითხველისთვის ადამიანთა განსხვავებული ხმები მაქსიმალურად ყოფილიყო შესაგრძნობი“ (მელაშვილი, 2017, გვ. 8). ამგვარი თხრობით თითოეული ადამიანური გამოცდილების ფენომენურობა იკვეთება.

თამთა მელაშვილის ტექსტი ქართულ-გერმანული ურთიერთობის 200-წლიან ისტორიას ადადგენს მის უშუალო მონაწილეთა ცნობიერებიდან: XIX საუკუნის დასაწყისში გერმანელების მიგრაციას კავკასიაში, მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოდან მათი გადასახლება და ამ პროცესის თანმდევი შიშშილი, ტანჯვა და სიკვდილი.

გერმანელ მიგრანტთა შთამომავლები გვიყვებიან ამბებს თუ როგორ შექმნეს მათმა დიდმა ბაბუებმა და ბებიებმა ბოლნისში, ასურეთში, სართიჭალაში, თბილისში თავიანთი თემი; როგორი იყო გერმანელებისა და ქართველების, რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, უკრაინელების თანაცხოვრება; როგორ იქცნენ გერმანელი მიგრანტები ემიგრანტებად; რა დარჩა ცოცხალი, რა შემორჩა ფოტოებსა და მეხსიერებას.

ამ ქალაქებსა და სოფლებში დღეს ძალიან რთულია გერმანული ფესვებისა და კვალის მიგნება. ფაქტობრივად, გამქრალია ამბები და ნიშნები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრების იმ ადამიანურ ნაწილზეც გვიყვება, ისტორიაში რომ არ იწერება ხოლმე. ამის გამო, ეს რომანი შეუფასებელი მნიშვნელობისაა; მწერალმა რთული კვლევა-ძიება ჩაატარა და გაქრობის ზღვარზე მყოფი მოგონებები და ემოციები აქცია რომან რეპორტაჟად.

საქართველოს გერმანელთა ორასწლიან ისტორიაში მთავარი ტრაგიკული და გარდამტეხი კვანძი მსოფლიო ომია; დრო, როცა პატივსაცემი, დაფასებული ადამიანები „დამნაშავედ“ გადაიქცნენ და გაიწირნენ გარიყვის, შეურაცხყოფის, წამებისა და სიკვდილისთვის. სხვადასხვა წყაროებში მათი რიცხვი 23 000-დან 25 000-მდეა.

თხრობა ორსაუკუნოვან ამბავზე სწორედ მეორე მსოფლიო ომის გარშემო იკვრება: „მეორე კლასში ვიყავი მაშინ, ... ჩემი და მაშინ 2 წლის იყო, სამი წელი, ყაზახეთში რომ ჩავედი, მაშინ შეუსრულდა“ (მელაშვილი, 2017, გვ. 44); „სამი თვისა უკვე პოლიტიკური დამნაშავე ვიყავი. 1941 წლის ივლისში დავიბადე და ოჯახის 8 წევრი გადაგვასახლეს“ (მელაშვილი, 2017, გვ. 139).

თამთა მელაშვილის ტექსტში ომის ტრაგიკულ ნაწილს ძირითადად ის ადამიანები ქმნიან, რომლებმაც ამ ომსა და გადასახლებაში ოჯახები დაკარგეს, მაგრამ ომში არ ყოფილან. აქ ტანჯვა და სიკვდილი, ნაცვლად უშუალოდ ომისა, საბჭოთა რეჟიმის რეპრესიებს უკავშირდება:

„ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი ყოფილიყო, მაგრამ დამადასტურებელი ფაქტი – რაც შეიძლება ნაკლები. მაგალითად, მატარებელს რომ აჩერებდნენ, აძლევდნენ, ვთქვათ, 5 წუთს საპირფარეოსთვის და უცებ იწყებდნენ მატარებლის დაძვრას და ძალიან

ხშირად პატარა ბავშვები, მოხუცები, ფეხმძიმე ქალები ასე რჩებოდნენ გზაში. ... ისე არავინ გკლავდა, მაგრამ ზამთარში, ყინვაში, სტეპში ან შიმშილისგან მოკვდებოდი, ან გაიყინებოდი, ან ცხოველების საჯიჯგნი გახდებოდი. ძალიან ბუნებრივად ცხრილავდნენ გადასახლებულებს. რეალურად სიკვდილიანობის სტატისტიკაც არ არსებობს“ (მელაშვილი, 2017, გვ. 172).

გერმანული ოჯახის სახლის ჭერში ქართველებმა წლების წინ გადამალული ყავის სერვიზი იპოვეს. მალევე მათ ყაზახეთიდან ესტუმრათ გერმანელი ქალი: „...ეს გოგო ადრე აქ ცხოვრობდა, ამ ეზოში იზრდებოდა, სანამ გადასახლებდნენო. ... ათი წლის იყო, რომ გადასახლეს. ... ძალიან დასწყდა გული, სახლი რომ აღარ დახვდა, მაგრამ ეზოში გავივლი, სადაც ვიზრდებოდიო. ... გამოსამშვიდობებლად რომ მოვიდა, დედამ ჭერიდან ჩამოღებული ყავის სერვიზი გამოუტანა და მისცა – დედას წაუღეო. ... ერთი საათი იტირა და რა გვითხრა იცით? ... დედაჩემს ათი წლის სიცოცხლე მოემატება, ამას რომ ჩავუტანო“ (მელაშვილი, 2017, გვ. 93). ეს ნოსტალგია აერთიანებთ გადასახლებულ გერმანელთა შთამომავლებსაც და ქართველებსაც: „სულ იყო მოგონებები მათ შესახებ, მათი მონატრება. ბებიასგან, პაპასგან მესმოდა მათი ამბები“ (მელაშვილი, 2017, გვ. 64).

ნოსტალგიური განწყობები მთხრობელთა ტკივილებს ეზავება და დრამატული აბების თხრობას ამსუბუქებს. ეს ტკბილ-მწარე განცდები იმ ბედნიერ ცხოვრებას უკავშირდება, რომელიც მათ ომამდე საქართველოში გაშენებულ გერმანულ თემში ჰქონდათ: ბევრი შრომა, გერმანული წესრიგი, სიმკაცრე და ამით მიღებული დოვლათი, მყარად გამართული ოჯახები, სოფლები, რომლებსაც შრომასთან ერთად დასვენების, მხიარულების დრო და ადგილიც გაწერილი და უზრუნველყოფილი ჰქონდათ.

* * *

თემატიკითა და ნარატოლოგიური ფორმით თამთა მელაშვილის წიგნი იმ პოლიფონიური მწერლობის გაგრძელებაა, რომლითაც ნობელიანტმა სვეტლანა ალექსიევიჩმა მსოფლიოს გააგონა საბჭოთა ტოტალიტარიზმის ქვეშ მოყოლილი ადამიანების ხმები.

სვეტლანა ალექსიევიჩის ასევე ზეპირი ისტორიების მეთოდით დაწერილი ცნობილი რომანები ციკლიდან „უტოპიის ხმები“ – „ომს არა აქვს ქალის სახე“ (1985 წ.), „უკანასკნელი მოწმეები“ (1985 წ.), „ცინკის ბიჭები“ (1989 წ.), „ჩერნობილის ლოცვა“ (1997 წ.) და „სექენდ ჰენდის დრო“ (2013 წ.) – როგორც ნობელის კომიტეტმა განმარტა, „ჩვენი დროის განსაცდელისა და მხნეობის მონუმენტია“. რომანებში მწერალი ტოტალიტარული სისტემის მიერ ტრავმირებული ათასობით ადამიანის ხმას აქცევს სათქმელად.

სვეტლანა ალექსიევიჩის რომანთან – „ომს არა აქვს ქალის სახე“, თამთა მელაშვილის წიგნის შედარებისას, პირველი, რაც ყურადღებას მიიქცევს, თავების სახელდებებია. ორივე ტექსტში მთხრობელთა თითოეული ნაამბობი მეტყველ, პოეტურ სათაურად ფორმდება:

„ომს არა აქვს ქალის სახე“ – „მხოლოდ მე დავბრუნდი დედასთან...“, „ტელეფონის ყურმილი არ ისვრის...“, „ეს მე არ ვყოფილვარ...“, „ერთხელ მაინც შემახედა...“, „და გულის ადგილას იდებ ხელს...“, „უცბად საშინლად მომწყურდა სიცოცხლე...“ და სხვ.

„გერმანელები საქართველოში – „მე ვცხოვრობ“, „TAMARA, BIST DU DA?“, „სად არის სამშობლო?“, „სიზმარს რომ ვხედავ...“, „ჩემი მიშა ცოცხალია“, „დგას დედაჩემი და მღერის“, „მე ვარ...“ და სხვ.

რომანების ეს თავისებურება ჯერ კიდევ წაკითხვამდე უქმნის მკითხველს განწყობას, რომ მთავარი აქ ემოციები იქნება და არა ამბები, რაც ხშირია ხოლმე დოკუმენტურ პროზაში. ამ თვალსაზრისით, ტექსტებში ძირითადი ნარატივი არსობრივადაა ფემინური, თუმცა მთხრობელებიც თითქმის სულ ქალები არიან.

„ქალები სხვაგვარად და სხვა რამეებზე მოგვითხრობენ. „ქალის“ ომი სხვაგვარადაა შეფერილი, სხვა სუნი, სხვა განათება და გრძნობათა საკუთარი სივრცე აქვს. საკუთარი სიტყვებიც. ... თანაც იქ მხოლოდ ისინი (ადამიანები!) როდი იტანჯებიან, არამედ მიწაც, ფრინვე-

ლებიც, ხეებიც. ყველაფერი, რაც ქვეყნად ჩვენთან ერთად ცხოვრობს. უსიტყვოდ რომ იტან-
ჯებიან, ეს კიდევ უფრო შემზარავი კია“ (ალექსიევიჩი, 2017, გვ. 8).

ამ ხმების მოსმენა მხოლოდ მეტ-ნაკლებად თავისუფალ სამყაროს შექმნა და არა – საბჭო-
ეთის ფალსიფიცირებულ რეალობას. ამიტომ ხდებოდა ის, რასაც სვეტლანა ალექსიევიჩი შესავალ-
ში იხსენებს, რომ გამზადებულ ხელნაწერს რედაქტორები უკან უბრუნდებდნენ უარით – „საიდან
გქვთ ეს აზრები? ეს უცხო აზრებია. არასაბჭოური. ... გეტყობათ, მეტიმეტი მოგსვლიათ რემარკის
კითხვა... ჩვენთან რემარკიზმი არ გავივით. საბჭოთა ქალი ცხოველი არ არის“ (ალექსიევიჩი, 2017,
გვ. 27). ეს არ იყო ომის ის სახე, რომლის ტირაჟირებაც ტოტალიტარულ სახელმწიფოს სურდა, ანუ,
ეს არ იყო გმირების ომი.

თამთა მელაშვილის რომანშიც მთხრობელები – გადარჩენილები და გადარჩენილთა შთამო-
მავლები – უმრავლესობა ქალები არიან. და არიან კაცებიც, რომელთა თხრობა, ვფიქრობ, უფრო
მეტად მიდრეკილია ამბების თანმიმდევრობაზე, თუმცა ტექსტის მთავარ ინტენციას ისინი მაინც
საკუთარ ემოციებთან მიჰყავს: „მახსოვს შემოსვლა. რომ შემოვედით, ისეთი ლამაზი იყო... ახლაც
მახსოვს ზაბორები. ქვის ზაბორები იყო“ (მელაშვილი, 2017, გვ. 77); „მარა რა არის, იცი? სიზმარს
რო ვხედავ, ისევ იქა ვარ, ჩემს სახლში“ (მელაშვილი, 2017, გვ. 75).

ამ წიგნში მკითხველს აქვს შესაძლოლობა დააკვირდეს როგორ და რაზე საუბრობს ორივე
სქესი, როგორ განსხვავდება მათი აქცენტები და განცდები.

* * *

ორივე ავტორი მთხრობელთა მეხსიერებიდან მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული
ტრავმული გამოცდილების რეკონსტრუქციას ცდილობს;

სვეტლანა ალექსიევიჩის წიგნის მთავარი თემაც მეორე მსოფლიო ომია. რომანში ადამიანის
ყველაზე ტრაგიკული და შემზარავი მდგომარეობები, განცდებია ასახული, იმიტომ, რომ მთხრო-
ბელები ომის მათეულს სახეს ალადვენენ.

„ახლავა მესმის იქიდან მობრუნებული ადამიანის სიმარტოვის. ის სხვა პლანეტიდან
თუ საიქიოდან მობრუნებულს ჰგავს. ისეთ ცოდნას ფლობს, სხვებს რომ არ აქვთ, რომლის
მოპოვებაც მხოლოდ იქ, სიკვდილის სიახლოვეს შეიძლება. სიტყვებით რაიმეს გადმოცემას
რომ ცდილობს, კატასტროფის განცდა ეუფლება. ადამიანი მუნჯდება. ის თხრობას ცდი-
ლობს. სხვები ცდილობენ, ჩასწვდნენ მის მონათხრობს, მაგრამ ყველა უძლურია“ (ალექსი-
ევიჩი, 2017, გვ. 13).

ამ ტექსტში უშუალოდ ომის ამბების იხსენებენ, ამიტომ, თამთა მელაშვილის რომანთან შე-
დარებით, აქ გაცილებით შემზარავ ამბებს ვკითხულობთ. ავტორებმა ერთი ომისა და ტოტალი-
ტარისტული რეჟიმის სხვადასხვა ამბები აქციეს რომან რეპორტაჟად. ეს განსაზღვრავს თხრობის
განსხვავებულ ემოციურ სიმძაფრეს.

ამ ორი რომანის მთხრობელთა ისტორიების შედარებისას, კიდევ ერთი განსხვავებული რა-
კურსი და პიროვნულ-ემოციური პერსპექტივა უნდა გამოვკვეთოთ.

სვეტლანა ალექსიევიჩის მთხრობელთათვის მეორე მსოფლიო ომი, აუწონავი სიმძიმის, პი-
რადი ტრაგედიების მიუხედავად, მათი გამარჯვებით დასრულდა. „ამ ადამიანებს სტალინიც ჰყავ-
დათ, „გულაგიც“ ჰქონდათ, მაგრამ გამარჯვებაც ჰქონდათ. და მათ ეს იციათ“ (ალექსიევიჩი, 2017,
გვ. 19); „მან – დამცირებულმა, გასრესილმა, ნამუსახილმა სტალინის ბანაკები და ურიცხვი
ლალატი გამოიარა და მაინც გაიმარჯვა. სასწაული მოახდინა“ (ალექსიევიჩი, 2017, გვ. 22). მთელ ამ
ჯოჯოხეთში მათ იცოდნენ თვითონ ვინ იყვნენ და მტერი ვინ იყო. გამოვლილი ტანჯვის მოსანე-
ლებლად ერთი ცხოვრება არ ეყოფოდათ, მაგრამ ეს ომი მაინც მათი, მათი ქვეყნის გამარჯვებით
დასრულდა. ისინი გმირებად გამოაცხადეს.

თამთა მელაშვილის რომანის მთხრობელთა პერსპექტივიდან დანახული ომი კი უფრო ტრაგიკულია იმ თვალსაზრისით, რომ ქართველი გერმანელები ორივე მხარისთვის მტრული და საბუღალველი თემი იყო.

„იყო შემთხვევები, რომ დავაშავებდი რაღაცას და პირდაპირ მეტყოდნენ – შე ფაშისტო. ... მე დაბადების მოწმობაში პირდაპირ ჩამიწერეს ნემეცი. ჰოდა, ხო გადაშალა ეს და შემომხედა, ნემეცი ხარო? კი, გერმანელი ვარ-მეთქი. მომაცარა უკან ეს საბუღალვეები, ნემეცებისთვის ტექნიკუმი ძაან დიდი ფუფუნება არისო, ... შემოვტრიალდი და წამოვვიდი. რას ვეტყვოდი, წამომივიდა ცრემლები“ (მელაშვილი, 2017, გვ. 101).

ომის შემდეგ ოფიციალურმა რეაბილიტაციამ გადასახლებაში დარჩენილ თუ იქიდან დაბრუნებულ გერმანელებს ვერ აღუდგინა შელახული ღირსება და დამცირებული მდგომარეობა. სსრკ-ში ომის შემდეგაც ვიღაცას შეიძლება ისევე „ნემეცი“ წამოემახებინა რომელიმე მათგანისთვის, ხოლო თუ გერმანიაში წავიდოდნენ, იქ – რუსი.

„მეზობლებმა ყველამ იცოდა, ცხადია, ჩემი გერმანელობა, მაგრამ არაფერი მიგრძნია. მერე, გამსახურდიას დროს გავიგე ეს რას ნიშნავდა... თან ეს იყო ფიზიკის ინსტიტუტში, თითქოს განათლებულ სახლში...“ (მელაშვილი, 2017, გვ. 165) არა თუ არ მოხდა რეალური რეაბილიტაცია, არამედ საუკუნის ბოლოს ეროვნული ნიშნით მათი დისკრიმინაცია ხელახლა გააქტიურდა.

„მგონია, ადამიანის მოკვლა უფრო ნაკლები დანაშაულია, ვიდრე მისი ფსიქიკის მოკვლა. ... ბებიჩემის სინდრომი რაც იყო, ის აუცილებლად დედაჩემზე არის ასახული და რაღაც დონეზე ჩემზეც.“ – მარია ოტენის შვილიშვილი (მელაშვილი, 2017, გვ. 147). უდანაშაულოდ გადასახლების გამოცდილებამ ადამიანებს დამნაშავეს ტრავმა დაუტოვათ. ეს კომპლექსი იკითხება თინათინ ჰაინეს თხრობაში: „მხატვრობა მინდოდა. რა ვიფიქრე, იცით? ... გინდა კარგი იყო, ცუდი ამბავი ყველას ემართება, ერთხელ მაინც. ცუდი ექიმი რომ გავხდე, ხო საშინელება იქნება და ცუდი მხატვარი ვის რას დავუშავებ, ვის რას ვავნებ-მეთქი“ (მელაშვილი, 2017, გვ. 147). დასჯილი ადამიანის სხეული იმასსოფრებს შიშს, რომ კიდევ არ დაისაჯოს. იგი ავტომატურად თავდაცვით მდგომარეობაში რჩება. ასევე ავტომატური ხდება განგაშის განცდა: „А вы уверены, нас не поймают?“ – კითხულობს პირველ კადრში მარია ელისაბედ ოტენი, რომლის შესახებაც დოკუმენტურ ფილმს იღებდა მისი შვილიშვილი.

თამთა მელაშვილის რომანის მთხრობელთა ემოციური გამოცდილება უფრო მძიმეა იმ პერსპექტივიდან, რომ ისინი ისე გაიწირნენ სხვების ომში, შეუძლებელი იყო მათი მდგომარეობის რეაბილიტაცია და დანაკარგის კომპენსაცია.

* * *

ზეპირი ისტორიების მეთოდს ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს. „წლების განმავლობაში ისტორიის გამეორება თხრობის შედეგად თვითინტერპრეტაციის ფორმად იქცევა. ადამიანებს არა მხოლოდ საკუთარი წარსული ახსოვთ, არამედ მის გაცნობიერებასაც ცდილობენ. ... ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა... ზეპირი გამოხატვის ფორმები და მოტივაციები კითხვის ქვეშ დააყენეს მას შემდეგ, რაც მათი სუბიექტურობა აღიარეს“ (ტურაშვილი, 2012, გვ. 239). ეს სუბიექტურობა და ამბავთან მიზრუნების მოტივი ლიტერატურაში, განსხვავებით სოციოლოგიისგან, მხატვრული მიზანიც კია. თხზვა და ქმნადობა, სწორედ თვითინტერპრეტაცია და თვითგაცნობიერება ხდება ტექსტის მხატვრული ინტენცია. თანაც მწერალი, მწერლობასთან ერთად თერაპევტიც ხდება.

თამთა მელაშვილის წიგნის მთხრობელი გადასახლებიდან დაბრუნებული ბებუის შესახებ იხსენებს: „თუკი რამე მიზეზი ჩაუვარდებოდა ხელში, მუდმივად ყვებოდა ამბებს ყახახსტანზე. ... ყოველთვის პოულობდა რაღაც მიზეზს, რომ ამაზე ელაპარაკა. ეს იყო – თითქოს რაღაცის თქმა გინდა და უთქმელი რომ გრჩება ამ ცხოვრებაში...“ (მელაშვილი, 2017, გვ. 173) – ადამიანი მრავალჯერ უბრუნდება ერთ ამბავს იმიტომ, რომ გაიგოს, როგორმე მიიღოს და მომხდართან ასიმილაცია

შეძლოს. ფიქსირებაც ამ ასიმილაციის ერთ-ერთი გზაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პიროვნებაში ეს კონფლიქტი გადაუჭრელი რჩება.

სვეტლანა ალექსიევიჩი წიგნში საუბრობს იმ მთხრობელთა შესახებ, რომლებიც მრავალჯერ კი არ უბრუნდებოდნენ ერთ ისტორიას, პირიქით, წლობით დუმდნენ. „*დიახ, ბევრს ტირიან. მოთქვამენ. ... სასწრაფოსაც იძახებენ. და მაინც მთხოვენ, მოდი, აუცილებლად მოდი, იმდენ ხანს ვიცდიდით, ორმოცი წელიწადია ვდუმვართო...*“ (ალექსიევიჩი, 2017, გვ. 18). ავტორი ადამიანს წლობით გამოუთქმელი ემოციისგან ათავისუფლებს. თხრობა ამ რომანშიც, გარდა შემოქმედებითობისა, თერაპიული ფუნქციით იტვირთება.

ზეპირი ისტორიების მეთოდით ავტორები არა მხოლოდ ამბებს წერენ, არამედ მთხრობელთა თვითრეფლექსიასა და თვითშემეცნებაში მონაწილეობენ და ეს პროცესიც ამგვარ ტექსტებში მხატვრული ინტენციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალექსიევიჩი, სვ. (2017), ომს არა აქვს ქალის სახე, თბილისი: „ინტელექტი“.
- თათარაშვილი, ნ., გერმანელი კოლონისტების არქიტექტურა საქართველოში, ქართულ-გერმანული არქივი; <https://german-georgian.archive.ge/ka/blog/15>
- მელაშვილი, თ. (2017), თქმული და უთქმელი ისტორიები, გერმანელები საქართველოში, თბილისი: „ინტელექტი“.
- ტურაშვილი, მ., (2012), ზეპირი ისტორიის თეორიული და მეთოდოლოგიური კვლევის საკითხები, სჯანი, 13.
- Thompson, P. (1978), *The Voice of the Past: Oral History*, London, New York: “Oxford University Press”.

References:

- Aleksievichi, Sv. (2017), *Oms ara akvs kalis sakhe*. [War Does Not Have a Woman's Face]. Tbilisi: "intellecti".
- Tatarashvili, N. Germaneli k'olonist'ebis arkit'ekt'ura sakartveloshi. [Architecture of German Colonists in Georgia]. Georgian-German Archive; <https://german-georgian.archive.ge/ka/blog/15>
- Melashvili, T. (2017). *Tkmuli da utkmeli ist'oriebi*. Germanelebi sakartveloshi. [Stories Told and Untold. Germans in Georgia]. Tbilisi: "intellecti".
- Thompson, P. (1978), *The Voice of the Past: Oral History*. London, New York: “Oxford University Press”.
- T'urashvili, M. (2012). *Zep'iri ist'oriis teoriuli da metodologiuri k'vlevis sak'itkhebi*. [Theoretical and Methodological Issues in Oral History Research]. Sjani, 13.